



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030455206210920

№ 04-186/თ

30 / მარტი / 2020 წ.

„ბავშვის კვების ბარათის ფუნქციონირების მიზნით გასათარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 15 თებერვლის N04-301/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. „ბავშვის კვების ბარათის ფუნქციონირების მიზნით გასათარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 15 თებერვლის N04-301/თ ბრძანების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „სააგენტოსა და მენარმე სუბიექტთან გასაფორმებელი „ბავშვის კვების ბარათის“ მომსახურების თაობაზე“ ხელშეკრულების ფორმა (დანართი N4), ხელშეკრულების დანართთან ერთად, ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ცვლილებიდან გამომდინარე, რაც უკავშირდება მენარმე სუბიექტისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობას იმ მენარმე სუბიექტებთან, რომლებთანაც უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის (იმ ერთეულებს ვისაც უკვე ხელმოწერილი აქვს ხელშეკრულება) ტერიტორიულ ერთეულებს (სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის და რაიონული (საქალაქო) ცენტრის), ევალუბათ მენარმე სუბიექტებთან ამ ბრძანებაზე თანდართული შეთანხმების პროექტის გაფორმება და გაფორმებული შეთანხმების ხელშეკრულებასთან ერთად შენახვა/დაცვა.


3. დაევალოთ:

ა) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს ამ ბრძანების და მისი დანართების სააგენტოს ვებ-გვერდზე - <http://ssa.gov.ge> განთავსება;

ბ) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე) წინამდებარე ბრძანების (დანართებთან ერთად) დაგზავნა სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის.

4. ბრძანება, გარდა პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე. ბრძანების პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 01 აპრილიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტურულად 

გიორგი წონკოლაური

ხელშეკრულება

„ბავშვის კვების ბარათის“ მომსახურების თაობაზე

_____ 201__ წელი

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში წოდებული – „სააგენტო“), წარმოდგენილი _____

_____ სახით,
მეორს მხრივ, _____
_____ (შემდგომში

წოდებული – „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი _____
_____ სახით,

(შემდგომში ერთობლივად წოდებული - „მხარეები“, და ცალ-ცალკე - „მხარე“).

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილებით, „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს N225/ნ ბრძანებით და „ბავშვის კვების ბარათის“ ადმინისტრირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 თებერვლის N01-61/ო ბრძანებითა და მიზნად ვისახავთ ხელი შეუწყობთ საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცმეთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული 100001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში მცხოვრები 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი ბენეფიტის ხარჯვის მიზნობრიობის დადგენას და მის რეალიზებას;

ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1.

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საარსებო შემწეობის ნაწილის, კერძოდ „ბავშვის კვების ბარათზე“ არსებული თანხის სანაცვლოდ, „მიმწოდებლის“ მიერ სურსათის გაცემა (რეალიზება).

1.2. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს სურსათის რეალიზებას „ბავშვის კვების ბარათის“ წარმდგენ პირზე, „ბავშვის კვების ბარათზე“ არსებული თახის შესაბამისად.

1.3. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ:

1.3.1. **„სურსათში“** იგულისხმება - „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით“ განსაზღვრული ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი გადამამუშავებული, ნაწილობრივ გადამამუშავებული ან გადაუმამუშავებელი პროდუქტი (გარდა ალკოჰოლური სასმელებისა). სურსათი ასევე მოიცავს ყველა სახის სასმელს (მათ შორის, სასმელ წყალს (გარდა ალკოჰოლური სასმელებისა)), სადექრეზინს და სურსათში გამოსაყენებელ ნებისმიერ ნივთიერებას (წყლის ჩათვლით (გარდა ალკოჰოლური სასმელებისა)), რომელიც გამოიყენება სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამამუშავების დროს. სურსათი არ მოიცავს: ცხოველის საკვებს, ცოცხალ ცხოველებს (გარდა იმ ცხოველებისა, რომლებიც გამზადებულია ბაზარზე განსათავსებლად, ადამიანის მიერ მოხმარებისათვის), მცენარეებს (მოსავლის აღებამდე), სამკურნალო და ჰომეოპათიურ საშუალებებს, თამბაქოს და თამბაქოს პროდუქტებს, ნარკოტიკულ საშუალებებს და ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, კოსმეტიკურ საშუალებებს, ნარჩენებსა და დამაბინძურებლებს.

1.3.2. **„ბავშვის კვების ბარათში“** იგულისხმება - სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ გაცემული პლასტიკური ბარათი, რომელზედაც აისახება/ასახულია „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საარსებო შემწეობის ნაწილი.

1.4. „ბავშვის კვების ბარათზე“ არსებული სახსრები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ „სურსათის“ შესაძენად და დაუმზებელია „ბავშვის კვების ბარათზე“ არსებული თანხით სხვა პროდუქტის რეალიზება ან სხვა რაიმე ფორმით მისი განაღდება.

მუხლი 2.

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:

2.1.1. გამართულ და მუშა მდგომარეობაში იქონიოს სს „ლიბერთი ბანკის“ (ან სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ნებადართული სხვა საბანკო დაწესებულების) ელექტრონული გადახდის აპარატი (ტერმინალი), რომელზეც შესაძლებელი იქნება „ბავშვის კვების ბარათის“ გატარება.

2.1.2. „ბავშვის კვების ბარათზე“ არსებული თანხის სანაცვლოდ, მის წარმდგენ პირს მიყიდოს მხოლოდ „სურსათი“ (გარდა ალკოჰოლური სასმელებისა).

2.1.3. ყოველდღიურად აღრიცხოს რეალიზებული „სურსათი“ „ბავშვის კვების ბარათის“ ნომრის ან ტრანზაქციის უნიკალური ნომრის (RRN) მიხედვით, კერძოდ თითოეული კალენდარულ დღის განმავლობაში კონკრეტული „ბავშვის კვების ბარათის“ გამოყენებით რა დასახელების „სურსათის“ შექმენა მოხდება, რათა მოახდინოს „სააგენტოს“ ინფორმირება ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

2.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მონაცემები ელექტრონულ ფორმატში მომდევნო თვის 5 რიცხვამდე წარედგინება „სააგენტოს“.

2.1.5. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შესაბამისი მომსახურების გაწევისას დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მას.

2.1.6. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს „სააგენტოსთან“ საკონტაქტო პირი.

2.1.7. საკუთარი სავაჭრო ობიექტის (ქსელის) ცვლილების (ფაქტობრივი ადგილმდებარეობის/მისამართის შეცვლა, ახალი ობიექტის გახსნა, ერთ-ერთის დახურვა და ა.შ.) შემთხვევაში წერილობითი ფორმით აცნობოს სააგენტოს იმ ტერიტორიულ ერთეულს რომელთანაც მოახდინა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმება და დანართის სახით წარუდგინოს ახალი (შეცვლილი) სავაჭრო ობიექტის (ქსელის) სია.

2.1.8. საკუთარ სავაჭრო ობიექტში (ქსელი) თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ბავშვის კვების ბარათით“ შესაძლებელია მხოლოდ სურსათის შეძენა (გარდა ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოსი).

2.1.9. განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები და/ან პირობები.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში „სააგენტო“ კისრულობს ვალდებულებას:

2.2.1. აღმოუჩინოს სრული დახმარება და მხარდაჭერა გაუწიოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

2.2.2. აცნობოს „მიმწოდებელს“ ისეთ საკანონმდებლო და/ან შიდა ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რამაც შესაძლოა განაპირობოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

2.2.3. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს „მიმწოდებელთან“ საკონტაქტო პირი;

2.2.4. განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები და/ან პირობები.

2.3. „მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.2. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლი/ზედამხედველობა განახორციელოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლო საშუალებით.

მუხლი 3.

3.1. „მიმწოდებელი“ ახდენს, „ბავშვის კვების ბარათის“ გამოყენებით, ყოველდღიურად რეალიზებული „სურსათის“ აღრიცხვას ცალ-ცალკე, ყოველ ჯერზე რეალიზებული „სურსათის“ ცალ-ცალკე (ინდივიდუალურად) მითითებით, ხელშეკრულების N1 დანართის მიხედვით.

3.2. ყოველი კალენდარული თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვის ჩათვლით, „მიმწოდებელი“ „სააგენტოს“ აწვდის საანგარიშო თვეში აღიწვდილი, რეალიზებული „სურსათის“ შესახებ ინფორმაციას.

3.3. ამ მუხლის 3.2. პუნქტის შესაბამისად „სააგენტოში“ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების N1 დანართის შესაბამისად (კონკრეტულ თარიღში შესყიდული „სურსათის“ ცალ-ცალკე ჩამონათვალი „ბავშვის კვების ბარათის“ ნომრის ან ტრანზაქციის უნიკალური ნომრის (RRN) მიხედვით).

3.4. ამ მუხლით გთვალისწინებული პირობებით მონაცემები „სააგენტოში“ წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ელექტრონული ფორმატით - ექსელის (Excel) დოკუმენტის სახით, ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული ველების შესაბამისად.

3.5. „მიმწოდებლის“ მიერ ამ მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად წარმოდგენილ ექსელის (Excel) ფორმატის დოკუმენტში მოცულ მონაცემებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თვითონ „მიმწოდებელს“.

3.6. წინამდებარე ხელშეკრულების N1 დანართში ასახული უნდა იყოს მხოლოდ „ბავშვის კვების ბარათით“ რეალიზებული (გაყიდული) „სურსათი“, მიუხედავად იმისა, რომ „ბავშვის კვების ბარათის“ წარმდგენი პირის მიერ, დროის ერთი და იგივე მონაკვეთში

„მიმწოდებელთან“ შექმნილ იქნა დამატებით სხვა პროდუქცია ნაღდი თუ უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.7. ამ მუხლის 3.4. პუნქტის გარდა „სააგენტოსათვის“ მონაცემების მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს დროის რეალურ რეჟიმში (მყისიერად), ან სხვა რაიმე ფორმატით, რის თაობაზეც მხარეთა შორის შესაძლებელია გაიმართოს დამატებითი მოლაპარაკებები და შეთანხმებულ იქნეს დამატებითი პირობები.

მუხლი 4.

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა.შ. შესაძლებელია განხორციელდეს მატერიალური სახით - წერილის გაგზავნით, ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული „ბავშვის კვების ბარათის“ გამოყენებით, საანგარიშო თვეში რეალიზებული „სურსათის“ შესახებ ინფორმაციის გაგზავნა, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში, „მიმწოდებლის“ მიერ ხორციელდება ელექტრონული წერილის გაგზავნით, „მიმწოდებლის“ ელექტრონული ფოსტიდან „სააგენტოს“ ელექტრონულ ფოსტაზე (ხელშეკრულების 3.7. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა).

4.3. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის მხარეთა ელექტრონული ფოსტის მისამართებია (შესაძლებელი ერთდროულად მითითებულ იქნეს ერთი მხარის რამოდენიმე ელექტრონული ფოსტის მისამართი):

4.3.1. „მიმწოდებლის“: _____

4.3.2. „სააგენტოსი“: _____

4.4. ხელშეკრულების 4.3. პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემების (ელექტრონული ფოსტის მისამართი) შეცვლის შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეებს, რის თაობაზეც მხარეთა შორის დგება შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4.5. მხარეები ვთანხმებით, რომ ამ მუხლის, 4.3. პუნქტით გათვალისწინებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გადმოგზავნილ და მიღებული მონაცემები და/ან ინფორმაცია ჩაითვლება შესაბამის მხარის მიერ გამოხატულ ნებად, შესრულებულ ვალდებულებად და ა.შ. და ამ ხელშეკრულებისათვის გააჩნია სამართლებრივი შედეგის მომტანი ფაქტის მნიშვნელობა.

მუხლი 5.

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

5.2. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების 2.1.2. პუნქტის მოთხოვნის („ბავშვის კვების ბარათის“ მფლობელისათვის „სურსათის“ გარდა სხვა რაიმე პროდუქტის/პროდუქციის (არასურსათის), „ბავშვის კვების ბარათზე“ არსებული სახსრებით მიყიდვა), „მიმწოდებელი“, ჯარიმის სახით, „სააგენტოს“ გადაუხდის არასწორად რეალიზებული პროდუქტის/პროდუქციის (არასურსათის) ღირებულების ოდენობას.

5.3. „მიმწოდებლის“ მიერ ჯარიმის გადახდა ხორციელდება „სააგენტოს“ მიერ მიწოდებულ რეკვიზიტებზე, შესაბამისი მოთხოვნის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.4. წინამდებარე მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

მუხლი 6.

6.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7.

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულება და შესაბამისად „მიმწოდებლის“ რეგისტრაცია შესაძლებელია შეწყდეს:

7.2.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

7.2.2. „სააგენტოს“ ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, რაც წერილობით ეცნობება „მიმწოდებელს“.

7.2.3. „მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისას.

7.2.4. „მიმწოდებლის“ ინიციატივით, რაც წერილობით ეცნობება „სააგენტოს“. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება „სააგენტოში“ „მიმწოდებლის“ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

7.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8.

8.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

8.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

8.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

8.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. შესახებ, თუ არ მოხდა შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

8.5. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის გაუქმება/ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას/ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი გაუქმებული/ბათილი პუნქტის გარეშე.

8.6. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

8.7. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „მიმწოდებელი“ გამოხატავს თანხმობას და ადასტურებს საკუთარ ნებას, რომ არ არის წინააღმდეგი ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები/ინფორმაცია „სააგენტო“ მიერ შეადარებულ/გადამოწმებულ ქინეს სს „ლიბერთი ბანკთან“.

8.8. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.9. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია _____ ფურცლად, 2 (ორი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

„სააგენტო“

სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

სახელი გვარი

მის.: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

„მიმწოდებელი“

სახელი გვარი

მის.: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

N	მიმწოდებლის დასახელება	მიმწოდებლის მისამართი	ლიბერთი ბანკის ტერმინალის კოდი	„ბავშვის კვების ბარათის“ ნომერი	ტრანზაქციის უნიკალური კოდი (RRN)	რეალიზებული/გაყიდული „სურსათის“ დასახელება	რეალიზებული/გაყიდული „სურსათის“ განზომილება (ერთეული, კგ.)	რეალიზებული/გაყიდული „სურსათის“ ერთეულის ღირებულება (ლარი)	რეალიზებული/გაყიდული „სურსათის“ საერთო ღირებულება (ლარი)	რეალიზებული/გაყიდული „სურსათის“ საერთო ჯამი (ლარი)	რეალიზაციის/გაყიდვის თარიღი (დღე, თვე, წელი)	შენიშვნა
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII
1												
2												
3												

შენიშვნა: ცხრილის მე-5 და მე-6 ველებთან მიმართებაში შესაძლებელია შევსებულ იქნეს ერთ-ერთი, „მიმწოდებლის“ გადაწყვეტილებით

შეთანხმება

„ბავშვის კვების ბარათის“ მომსახურების თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

_____ 2020 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში წოდებული – „სააგენტო“), წარმოდგენილი

_____ სახით,

მეორს მხრივ, _____

_____ (შემდგომში წოდებული – „მიმწოდებელი“)

წარმოდგენილი _____

_____ სახით,

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და მხარეთა შორის 20___ წლის _____ გაფორმებული „ბავშვის კვების ბარათის“ მომსახურების თაობაზე ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) 7.3. და 7.4. პუნქტებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების 5.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.2. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების 2.1.2. პუნქტის მოთხოვნის („ბავშვის კვების ბარათის“ მფლობელისათვის „სურსათის“ გარდა სხვა რაიმე პროდუქტის/პროდუქციის (არასურსათის), „ბავშვის კვების ბარათზე“ არსებული სახსრებით მიყიდვა), „მიმწოდებელი“, ჯარიმის სახით, „სააგენტოს“ გადაუხდის არასწორად რეალიზებული პროდუქტის/პროდუქციის (არასურსათის) ღირებულების ოდენობას.“.

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2020 წლის 01 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

„სააგენტო“

სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

მის.: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

სახელი გვარი

„მიმწოდებელი“

მის.: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

სახელი გვარი